



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

LEPL - IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

№

“ ”

20 წ.

ილია ჯავახაძის გამზ. №1, 0179 თბილისი, საქართველო

1, ILIA TCHAVTCHAVADZE AVE., 0179 TBILISI, GEORGIA

<http://www.tsu.edu.ge>; E-mail: chancellor@tsu.ge; Tel: 2 29 42 88

506/01-03-02
30.04.14

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტის დირექტორს
ბატონ გიორგი კლდიაშვილის

მისამართი: თბილისი 0108, ალ. გრიბოედოვის ქ.№3,
ტელეფონი: +995 32 292 15 14

ბატონ გიორგი,

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014 წლის 7 და 22 აპრილს სარეგისტრაციო ნომრებით 11769/02 და 13129/02 შემოსული თქვენი 2014 წლის 4 და 17 აპრილის №OPD04/14-011, OPD04/14-0112 წერილების პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავით დადგენილი წესების შესაბამისად, თქვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით, გაცნობებთ შემდეგს:

პირველ და მე-2 საკითხებზე, რომლითაც ითხოვთ 2013 წელს რექტორსა და მის მოადგილეებზე (ცალ-ცალკე) დარიცხული პრემიებისა და სახელფასო დანამატების ოდენობას თვეების მიხედვით, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან, ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია დაკავშირებულია კონკრეტული პირების ფინანსებთან და არის პერსონალური მონაცემების შემცველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უფლებამოსილი იქნება გასცეს აღნიშნული ინფორმაცია, თუ თქვენს მიერ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ წერილობითი ფორმით გაცემული ნოტარიული წესით დამოწმებული თანხმობა.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით (იხილეთ დანართი №1 -182 ფურცლად), 1 და მე-2 საკითხებზე გაცნობებთ, რომ უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორს, აკადემიკოსს ვლადიმერ პაპავას 2013 წელს პრემია არ მიუღია, ხოლო მის სამ მოადგილეს (ლ.ალექსიძე, მ. ჩიტაშვილი, მ.ელიაშვილი) ჯამში მიღებული აქვთ 19982 ლარი. რაც შეეხება დანამატს, 2013 წელს რექტორს, პროფესორს, აკადემიკოსს ვლადიმერ პაპავას და მის